დანართი 3

**გიორგი ყიფიანი**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია

*ფაკულტეტი 6 განსხვავებულ მიმართულებას აერთიანებს, აქედან გამომდინარე ფაკულტეტის ადმინისტრაციის უმთავრესი მიზანია* საგანმანათლებლო სივრცეში **თითოეული მიმართულების კონკურენტუნარიანობისა და ავტონომიურობის ამაღლება**. სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესება განპირობებული იქნება პროფესურის პოტენციალის იმ ნაწილის სრული რეალიზაციით, რომელიც მათ პრაქტიკულ საქმიანობასა და კვლევით გამოცდილებას ეყრდნობა. ამდენად **აქცენტი პრაქტიკასა და კვლევაზე** სრულად განავითარებს ფაკულტეტის პოტენციალს და მნიშვნელოვნად გაზრდის ფაკულტეტის პრესტიჟს საგანმანათლებლო სფეროში.

ეს მიზნები გულისხმობენ შემდეგი მიმართულებით კონკრეტული ამოცანების შესრულებას:

I. *სასწავლო კომპონენტის განვითარება*
II. *კვლევითი სექტორის ორგანიზაციული განვითარება*
III. *პრაქტიკასა და საბაზრო მოთხოვნებზე ორიენტაცია*
IV. *საინფორმაციო პოლიტიკის დახვეწა*

1. *სასწავლო კომპონენტის* განვითარება

1.ახალი საბაკალავრო პროგრამების შექმნა

- კონსულტირება  და გამოყენებითი ფსიქოლოგია
- რეკლამის წარმოება და ორგანიზაცია
- სოციალური პოლიტიკა

2. არსებულ პროგრამებში საზღვარგარეთული სემესტრის დანერგვა

3. უცხოენოვანი სასწავლო მოდულების მომზადება გაცვლითი პროგრამების ინტენსიფიკაციის მიზნით.

*II, კვლევითი სექტორის ორგანიზაციული განვითარება*

1. **კვლევის წახალისება სწავლების ყველა დონეზე**
   - თითოეული მიმართულებისთვის კვლევითი ინსტიტუტების ჩამოყალიბების ხელშეწყობა
   - პრემია საუკეთესო კვლევისათვის მიმართულების შესაბამისად*
   - კვლევითი გრანტები თითოეული მიმართულების შესაბამისად*
   - პრემიები ბაკალავრიატის სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისთვის*
   - ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის პროგრამა

2. **ინტერდისციპლინარულ** კვლევათა აქცენტირება და ცენტრების დაფუძნება
   - სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული განვითარების

- კულტურათაშორისი კვლევის
- სოციალური პოლიტიკის
- სამართლისა და სოციალური მეცნიერებების

3. კვლევის **<u>საფაკულტეტო</u>** და **<u>საუნივერსიტეტო</u>** პრიორიტეტების განსაზღვრა

შენიშვნა: * პროგრამის მხოლოდ ეს პუნქტები მოითხოვს ბიუჯეტის მცირე ცვლილებას, პროგრამის დანარჩენი ღონისძიებები არსებული რესურსებით შეიძლება შესრულდეს

*<u>III. პრაქტიკასა და საბაზრო მოთხოვნებზე ორიენტაცია</u>*

- პრაქტიკული საქმიანობის <u>ხელშემწყობი ცენტრის შექმნა</u> და სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება
- კვალიფიკაციის ამაღლების კურსების სისტემის განვითარება
- ტრენინგის მოკლე კურსების ორგანიზება
- საკონსულტაციო საქმიანობის განვითარებაზე მომუშავე მოდულის შექმნა
- სტუდენტური პრაქტიკის ორგანიზება
- საზაფხულო სკოლების ორგანიზება

<u>*IV.* საინფორმაციო პოლიტიკა</u>

- ფაკულტეტის სამეცნიერო-პრაქტიკული პოტენციალის, კვლევის ინტერესებისა და მიმართულებების წარმოჩენა
- ფაკულტეტის ინტერნეტის გვერდის <u>ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი</u> ვერსიების შექმნა.
- ფაკულტეტის ბოლოდროინდელი და მიმდინარე საქმიანობის: სემინარების, სადისერტაციო დაცვების, კოლოქვიუმებისა და საგრანტო დაფინანსების ასახვა
- ელექტროჟურნალი მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებზე ფაკულტეტის გვერდიდან გამოწერით
- ინფორმაცია და სემინარები განაცხადების შედგენაზე მიმდინარე საგრანტო კონკურსებისათვის

<u>IV. სასწავლო და ორგანიზაციული დატვირთვის მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება</u>

- საუნივერსიტეტო დატვირთვის ორგანიზაციული და კვლევითი საქმიანობით ნაწილობრივი ჩანაცვლება (დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინება)
- სამეცნიერო ხარისხისა და დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟისა მქონე ასისტენტ- პროფესორების სტატუსის დიფერენცირება და ამაღლება
- 2008 წელს შემოღებული სახელფასო დანამატის სქემის დახვეწა და აღდგენა
- პროფკავშირული ორგანიზაციის დაფუძნების ხელშეწყობა
- პროფესურის დამატებითი დატვირთვით დაინტერესებისა და საათობრივი დატვირთვის ანაზღაურების მოქნილი სისტემის შექმნა
- კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელობის ანაზღაურების მოქნილი სისტემის შექმნა.

- პროფესურის ავტონომიურობის ამაღლება და მუდმივ (Tenure) პოზიციის დამკვიდრება
- კონკურსისა და ატესტაციის სისტემის შესაბამისი შეცვლა